

ფიზიკური პირების შემოსავლების საგადასახადო რეგულირების აუსილებლობა

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოების საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ უცხოეთის ქვეყნების ბიუჯეტებში შემოსავლების თვალსაზრისით, ყველაზე დიდი თანხა აღირიცხება უცხოეთის ქვეყნების საგადასახადო კოდექსის იმ მუხლში, რომელიც ეხება პროგრესულ სკალას. მის გავლენას ფიზიკური პირების რეალური ცხოვრების დონეზე და მათი შემოსავლების გათანაბრებას, დიდი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა გააჩნია. საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების სფეროში წლების მანძილზე დაგროვილი გადაუჭრელი პრობლემები ზოგადად შეიძლება გახდეს მიზეზი ქვეყანაში საგადასახადო პოლიტიკის გატარებისა, რომელსაც მკვეთრად გამოხატული ფისკალური ხასიათი გააჩნია. ამ მხრივ, განსაკუთრებულ აქტუალობასა და მნიშვნელობას იძენს საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო პოლიტიკის კვლევა ფიზიკური პირების შემოსავლების დაბეგვრის მიმართულებით.



იპოლიტე საჯაია
სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

მმართველობის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებიდან ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლის პირობებში, იზრდება გადასახადების როლი და მნიშვნელობა, როგორც საბაზრო ეკონომიკის რეგულირებისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარების სტიმულირების ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტისა, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ძირითად წყაროს, ფიზიკური პირების შემოსავლების გადანაწილების ინსტრუმენტის წარმოადგენს, რომელიც ეკონომიკის ამა თუ იმ პრიორიტეტული დარგის სტიმულირებისა და განვითარების საძირკველია. გადასახადების წარმოშობა, როგორც ასეთი, განპირობებული არის საზოგადოების განვითარების სრულიად ობიექტური ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებით, ასევე, სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ზედნაშენის ფუნქციონირებისათვის საკმარისი ფინანსური რესურსების კონცენტრაციისა უცილებლობით.

გადასახადების არსისა და გაგების მიმართ თანამედროვე მიდგომების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თავად გადასახადი (ბეგარა) მრავალი ასპექტის მქონე კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც არა მხოლოდ სამართლებრივი ან ეკონომიკური, არამედ სოციალური მნიშვნელობის მატარებელია. თავად გადასახადების მნიშვნელობის ფორმულირება არაერთგზის მომხდარა და საბოლოოდ დადგინდა, რომ დეფინიცია „გადასახადი“ (ბეგარა) - ეს არის ფიზიკური პირებისგან უსასყიდლოდ, ექვივალენტის გარეშე აკრეფილი სავალდებულო, კანონმდებლობით დადგენილი გადასახადი, რომელიც შედის ბიუჯეტსა და არასაბიუჯეტო ფონდში და სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის რეალიზაციისათვის არის გათვალისწინებული.

როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი სუბიექტი, ატარებს რა შესაბამის საფინანსო პოლიტიკას, სახელმწიფო ახდენს ფულადი ელემენტების გადანაწილებას საგადასახადო შემოსავლებში, ადგენს კონკრეტული ეკონომიკური პირობებისათვის შედარებით მისაღებ საგადასახადო ურთიერთობების ორგანიზაციის ფორმებს მათი ერთ სისტემაში დაჯგუფების მეშვეობით. თავის საქმიანობაში სახელმწიფო, უპირველესყოფლისა, გვევლინება საზოგადოებრივ რეგულატორად, რომელიც საკანონმდებლო აქტების გამოცემას, ასევე, საორგანიზაციო და განმკარგულებელი სტრუქტურების ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს, ხოლო ეს სტრუქტურები მოწოდებულნი არიან დაიცვან და განავითარონ საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური საფუძველი. ასევე ახდენს სახსრების მობილიზებას, რომელიც გადასახადების აკრეფის საშუალებით ყალიბდება. მეორესმხრივ, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ეფექტიანი განვითარება, რაც იძლევა საშუალებას გადასახადები, გამოყენებულ იქნას როგორც ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სიტუაციაზე ზემოქმედების თუნდაც არაპირდაპირ მასშტაბილიზებელ ინსტრუმენტად ხარისხობრივი დონის ამადლების თვალსაზრისით.

საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც ასე ვთქვათ, ზედნაშენურ კატეგორიას განეკუთვნება, საზოგადოებაში დამკვიდრებული ეკონომიკური ურთიერთობებითაა განპირობებული. იგი ფინანსური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ეს ზეგავლენა შესაძლოა სხვა და სხვა გვარი იყოს: ერთ შემთხვევაში, პოლიტიკური დონის-

ძიებების გატარებით, ეკონომიკის განვითარებისათვის შესაძლია ხელსაყრელი პირობები წარმოიქმნას, ხოლო სხვა შემთხვევაში, კი პირიქით, მოხდეს მისი დამუხრუჭება.

გადასახადები, როგორც ეკონომიკური კატეგორია, წარმოადგენს რა სპეციფიურ ინსტრუმენტს სახელმწიფოსა და გადასახადების გადამხდელებს შორის ურთიერთ დამოკიდებულების პოლიტიკის რეალიზაციის თვალსაზრისით, მიმართულია ბიუჯეტის შემოსავლების უზრუნველყოფისა და მთლიანად ეკონომიკის რეგულირებისაკენ. ჩვენი აზრით, სწორედ აქ ჩანს საგადასახადო ურთიერთობების ყველაზე სრულყოფილი შინაარსი, რომელიც ხაზს უსვამს მის სამმაგბუნებას (სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალური) და ასევე, საზოგადოებრივ დანიშნულებას, რომელიც მის ორ ფუნქციაში ვლინდება - ფისკალურსა და მარეგულირებელში.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და მოსახლეობის ცხოვრების რეალური დონის ამაღლებაზე სახელმწიფო ყველაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საგადასახადო პოლიტიკის გატარებისა და შესაბამისი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების საშუალებით, რომლებიც ტრანსპორმაციას განიცდიან საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პროცესების შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო სისტემის განვითარების ძირითადი ეტაპების შეფასება. საგადასახადო სისტემის ევოლუციის ანალიზმა გვიჩვენა, რომ უცხოური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სადაც პირველი ადგილი მოსახლეობის შემოსავლებიდან აკრეფილ გადასახადებს უჭირავს, ჩვენი ქვეყნის კონსოლიდირებულ ბიუჯეტში იურიდიული პირებისგან მიღებული გადასახადები გაცილებით ჭარბობს.

ფიზიკური პირების გადასახადების შემოღების მოცულობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გადასახადის გადამხდელთა-ფიზიკურ პირთა რაოდენობრივი შემცირება, რაც მოსახლეობის ბუნებრივი დემოპოულაციით-შობადობის მაჩვენებლის ვარდნით, სიკვდილიანობის ინდექსის ზრდით, ერის დაბერებით, მარტოხელა მშობლების მატებით, მიგრაციის ნაზარდის უქონლობით და ემიგრაციის ზრდით არის გამოწვეული. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება ეკოლოგიური, დემოგრაფიული, სოციალური და მიგრაციული პოლიტიკის კარდინალურად გადასინჯვისა და მისი კურსის ქვეყანაში გატარებულ ეკონომიკურ კურსთან და, მასთან ერთად საგადასახადო პოლიტიკასთან კოორდინაციის საკითი, რომელიც დაბეგვრის ეფექტურობის მიღწევისა და საბოლოო ჯამში, საგადასახადო ტვირთის, იურიდიული და ფიზიკური პირების სიმძიმის ცენტრის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ანალოგიაზე გადატანისკენ არის მიმართული.

როგორც ჩანს, საგადასახადო პოლიტიკის პრიორიტეტების შეცვლასა და მოქალაქეებზე „საგადასა-

ხადო წნეხის“ გაზრდამდე, აუცილებელია გადაწყდეს მოსახლეობის შემოსავლების ზრდის საკითხი. ამის გარეშე გადასახადების სტრუქტურის შეცვლის ყველა მცდელობა ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნება, მაგრამ ხელფასის მოცულობის რადიკალური ცვლილება მხოლოდ იურიდიული პირების დაბეგვრის სრულყოფისა და ერთიანი სოციალური გადასახადის განაკვეთის შემცირების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი.

გადასახადების ეკონომიკური შინაარსი ურთიერთდაკავშირებული ელემენტების საშუალებით რეალიზდება, რომელთაგან ყოველი მათგანი საკუთარი დამოუკიდებელი სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. ჩვენი აზრით გაანალიზებულ იქნა ფიზიკური პირებისგან აკრეფილი საშემოსავლო გადასახადის სტრუქტურის ფორმირებისა და ფიზიკური პირების შემოსავლების დაბეგვრის საკითხები, გამოკვლეულ იქნა მოცემული გადასახადების ელემენტთა ეკონომიკურ-სამართლებრივი რეგლამენტაცია, რომლის მიხედვითაც გაკეთდა დასკვნა, რომ მიუხედავად გადასახადის ელემენტების არსებობისა, ეს უკანასკნელი კანონიერად დადგენილად ითვლება მხოლოდ იმ ელემენტების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც კანონმდებლობაშია მითითებული.

გადასახადის ელემენტთა კვლევის ჩატარებისას, ჩვენი აზრით, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ობიექტისა და საბეგრი საგნის ცნება, რომლებსაც ერთი და იგივე მნიშვნელობა არ გააჩნია. თუკი დასაბეგრი ობიექტი - ექვემდებარება დაბეგვრას საშემოსავლო გადასახადით, ანუ, გააჩნია ღირებულების (ფულადი ფორმის) ან რაოდენობრივი (ნატურალური ფორმის), მახასიათებლის მქონე შემოსავალი, მაშინ დასაბეგრი საგანი მატერიალური შემთხვევაა, ანუ, იგი წარმოადგენს საგანს, მოვლენას (საცხოვრებელი სახლი, საქონელი, ფული, სამეწარმეო ან სხვა რომელიმე სახის დამოუკიდებელი საქმიანობა და სხვ.), რომლისგანაც წარმოდგება დასაბეგრი ობიექტი. დაბეგვრის საგანი და დაბეგვრის ობიექტი თავის მხრივ, განაპირობებენ გადასახადის კიდევ ერთი სავალდებულო ელემენტის-საგადასახადო ბაზის წარმოქმნას, მაგრამ დასაბეგრი ობიექტის არარსებობისას საგადასახადო ბაზის წარმოქმნა არ ხდება და ასეთ შემთხვევაში, გადასახადი დადგენილად ვერც ჩაითვლება.

მოქმედი საგადასახადო სისტემა ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათების ფართო სპექტრს, რომელიც გატარებული საგადასახადო პოლიტიკის მიზნებს ასახავს. სახელმწიფოსათვის საგადასახადო შეღავათების საფუძველს წარმოადგენს გადასახადის გადამხდელთა მატერიალურ-ქონებრივი და სოციალური მდგომარეობა, ეკონომიკის ცალკეული დარგების განვითარების აუცილებლობა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სტიმულირება და სხვ. საგადასახადო შეღავათები იმავდროულად, შესაძლოა იქცეს ცალკეულ გადამხდელთა შემოსავლის დაბეგვრის მინიმუმამდე

დაყვანის ინსტრუმენტად. საგადასახადო შეღავათების ერთ-ერთ სახეს, რომელიც ფართოდ გამოიყენება უცხოეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემებში და ანალოგიურად, გათვალისწინებულია ჩვენს ქვეყანაშიც, წარმოადგენს დასაბეგრიობიექტის სტანდარტული დაქვითვის ფორმით წარმოდგენილი დაუბეგრავი მინიმუმი, რომელმაც შესაძლოა სერიოზული გავლენა იქონიოს ფიზიკურ პირთა შემოსავლების დონეზე და უფრო გააძლიეროს გადასახადებით დაბეგვრის სოციალური მნიშვნელობა.

ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდ მნიშვნელობას იძენს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების პრინციპების შემუშავება საბაზრო ეკონომიკის ფორმირების თავისებურებების შესაბამისად, საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების მაგალითზე. სამართლიანი და ნეიტრალური საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება ერთმანეთთან დაკავშირებული რამოდენიმე პრობლემის გადაჭრას მოითხოვს, რომელიც პირდაპირ არის დამოკიდებული საგადასახადო პოლიტიკის სტრატეგიულ ორიენტირებასა და გატარებულ საგადასახადო რეფორმებზე. საგადასახადო რეფორმის ძირითადი ამოცანები მიმართულია საგადასახადო ტვირთის მნიშვნელოვან კლებასა და გათანაბრებისაკენ, საგადასახადო სისტემის გამარტივებასა და საგადასახადო ადმინისტრირების სრულყოფისაკენ.

ფიზიკური პირების შემოსავლების დაბეგვრის სისტემის ანალიზმა მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ბიუჯეტისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილის დაბეგვრის ზონისა და შემოსული გადასახადების მოცულობის პარამეტრებზე აგებული საშემოსავლო სისტემა, რომლის შენარჩუნება მოხდება უმეტესწილად საგადასახადო აგენტების მეშვეობით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო ორგანოების მიერ გაანგარიშებული

აკრეფილი გადასახადების ეფექტურობის შეპირისპირებისას, ნათელი გახდა, რომ გადასახადებიდან მიღებული ამონაგები, სადაც ყოველწლიურად ზრდის ტენდენცია აღინიშნება, უპირატესობას იძენს დაბეგვრის ერთიან სისტემაში გარკვეული ტიპის საქმიანობაზე დაკისრებული გადასახადისას. მოცემულ სისტემაზე აქცენტის გატანა რეგიონალური და ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის გაძლიერებისა და გადამხდელთა „ჩრდილოვან“ ეკონომიკაში გადასვლის ალკვეთის შესაძლებლობას იძლევა.

საგადასახადო სისტემის მდგრადობა მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გატარებულ საგადასახადო პოლიტიკის კურსზე, დაბეგვრის პრინციპებისა და გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების დაცვაზე. ნაშრომში ჩატარებული ნორმატიული ბაზის ანალიზმა წარმოშვა საგადასახადო სანქციების დაწესების წესის სრულყოფის აუცილებლობა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ბიუჯეტისთვის მიყენებულ ზარალთან. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, იგი იყო ან ძალზე უმნიშვნელო, ან მიზანშეწონილი იქნება შემოიფარგლოს ადმინისტრაციული ზემოქმედების ისეთი ნორმის შემოტანით, როგორიცაა გაფრთხილება. თანამედროვე ადმინისტრაციული კანონმდებლობა იმდენად მრავალადაა გაჯერებული საკმაოდ მძიმე სანქციებით, რომ სულაც არ იძლევა გადასახადების გადამხდელთათვის სტიმულს მათ მიერ განხორციელებული სამენარმეო საქმიანობის და მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციისა.

მოქმედი საგადასახადო სისტემა ისე უნდა გარდაიქმნას, რომ თავისი ფისკალური როლის შესრულებისას ფიზიკური პირებისგან მიღებული საშემოსავლო გადასახადი საგადასახადო ტვირთად არ დაანვეს საზოგადოების გაჭირვებულ ფენას, რომლის შემოსავლების დონე საარსებო მინიმუმს არ აღემატება.

THE NECESSITY OF TAX REGULATION PHYSICAL PERSONS' INCOME

Ipolite Sajaia
phd student of Soxumi state university

SUMMARY

The greatest amount of income in budget of foreign countries, accounts in the section of tax code, which concerns to progressive scale. It affects to physical persons' standard of living and equalization of their income, has great economic and social importance. To the volume of physical persons taxes inflow significantly impacts the taxpayer's – physical persons' quantitative reduction, which is caused by the natural depopulation of population – dropping fertility rates, growing of the death index, aging of the nation, rising of single parent families, lacking of migration growth and increasing of emigration.

The current tax system must be converted in a such way that, during implementing its fiscal role, the income tax accepted from physical persons, mustn't burden as tax burden to the vulnerable layer of society.